საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრგულა კვერნა

თეთრგულა კვერნა

თეთრყელა კვერნა, ქვის კვერნა (Martes foina), ძუძუმწოვარი ცხოველი მტაცებელთა რიგისა. გავრცელებულია დას. ევროპაში, შუა და წინა აზიაში, ტიბეტში, რუსეთში. ბინადრობს მრავალგვარ სტაციაში (პოპულაციის ადგილსამყოფელი): ტყეში, უტყეო ადგილებში, ბუჩქნარებში, პარკებში, კულტ. ლანდშაფტში, კლდოვან ქვანაყარ კომპლექსებში, დასახლებულ ადგილებში. აღწევს ზ. დ-იდან 4000 მ-მდე. არის რამდენიმე ქვესახეობა.

საქართველოში გავრცელებულია კავკასიური თ. კ. (Martes foina nehringi). გვხვდება კავკ. ქედის სამხრ. კალთებზე, ცივ-გომბორის, თრიალეთის, ქართლ-იმერეთის, გურია-აჭარის ქედებზე; ქართლსა და კახეთში, კოლხეთის დაბლობზე, აჭარაში, აფხაზეთში. აქვს ძვირფასი ბეწვი, რის გამოც მასზე ნადირობენ.

გ. ენუქიძე